ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9

27 იანვარი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა / პასტერის ქუჩა №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-4 სართულზე არსებული 351,03მ² ფართის და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთის ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა - „თბილისის მუნიციპალურმა ლაბორატორიამ" 2014 წლის 26 დეკემბერს №1 წერილით (რეგისტრ. №07/14360631-1) მომართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა / პასტერის ქუჩა №7-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 01.13.08.009.041) შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-4 სართულზე არსებული 351,03მ² ფართის და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთის ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, 5 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" და „ე.თ"ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა/პასტერის ქუჩა №7-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 01.13.08.009.041) შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-4 სართულზე არსებული 351,03მ² ფართის (დანართი 1-ში მითითებული დაშტრიხვის შესაბამისად) და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთის ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის" (ს/ნ 402008046) პირდაპირი განკარგვის წესით, ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" (ს/ნ 402008046) არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი